სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 607კვ.მ	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ,,ცისკარი'' განთავსებულია საკუთრებაში არსებულ შენობაში, რომლის ჯამური საპროექტო ფართი 1781.69კვ.მ -ია: 0 სართულზე-სარდაფი. I სართულზე -ფოიე, დაცვის ოთახი, სასადილო, სპორტული დარბაზი, სველი წერტილი; II სართულზე -ადმინისტრაციის ოთახები, საკლასო ოთახები, სველი წერტილები; III სართულზე -საკლასო ოთახები, კათედრების ოთახები, ფსიქოლოგის ოთახი.სველი წერტილები; IV სართულზე -საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორია; სველი წერტილები; V სართულზე- ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპ. ლაბორატორიის კლასი, საკლასო ოთახები.
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. 2ა**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.13.06.001.013**
კვ.მ.	**607 კვ.მ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • შენობის აზომვითი ნახაზი; • საკუთრების ფლობის მოწმობა N 726;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სულ 28 საკლასო ოთახია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მერხებით(300 ერთეული ინდ. საჭიროების მერხი, ხოლო 32 -ორადგილიანი მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით, ჯამში დაწესებულებაში 332 ერთეული მერხი და სკამია), სასკოლო დაფებით, მათ შორის ე.წ. მარკერიანი თეთრი დაფებით, სწავლა- სწავლების ეფექტიანი წარმართვისთვის აუცილებელი მატერიალური საშუალებებით, კერძოდ: ტელევიზორებითა და ჭკვიანი დაფებით, წიგნების კარადებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, საკონფერენციო მაგიდებით, სასწავლო პროცესის დამხმარე თვალსაჩინოებებით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით და სხვა სასწავლო ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 94,80კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი გასახდელებით,რომელიც აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ჩოგბურთის მაგიდებით, ჭადრაკის დაფებით,ჭადრაკის სადემონსტრაციო მაგნიტური დაფით, შვედური კედლით, ლეიბებით და სხვა სპორტული ინვენტარით. სკოლა ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის სახეობების შესაბამის ინვენტარს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაციით; • შენობის აზომვითი ნახაზით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის მე-4 სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო კლას-ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები.ლაბორატორიაში კარადებში განთავსებულია სხვადასხვა ქიმიური რეაქტივები,თვალსაჩინოებები,სასწავლო რესურსები რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლაბორატორიის სივრცეში საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილების ეფექტიან ჩატარებას. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით, მოწყობილია სველი წერტილი ნიჟარით, ლაბორატორიის სივრცეში განთავსებულია მოსწავლეთა ინდივიდულაური საჭიროების მერხები სკამებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულება უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების სისტემით.სკოლა დარეგისტრირებულია დამოუკიდებელ აბონეტად, წარმოდგენილია შპს ,,თელმიკოს'' (№ 4185081), "თბილისი ენერჯის" (№446049495), "თბილისის დასუფთვების" (№ 4185081), შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის'' (№ 755396902) გადახდის ქვითრები; ყველა სართულზე არის სველი წერტილი (სკოლაში 11 ხელსაბანი და 21 საპირფარეშოა). სკოლის ყველა ოთახში არის ბუნებრივი განათების საშუალება. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, წარმოდგენილია შპს ,,ყაზტრანსგაზ თბილისის'' დამოუკიდებელი აბონენტის(№4460) გადახდის ქვითარი.დაწესებულებაში დამატებით დამონტაჟებულია კონდიციონერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადახდის ქვითრებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის V სართულზე 75,74 კვ.მ. ფართში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა,რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: წიგნების კარადებით- თაროებით, მაგიდებით, სკამებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკაში არის ინტერაქტიული დაფა, მარკერის დაფა, ეკრანი, პროექტორი, ლეპტოპი, ინტერნეტში ჩართული 4 კომპიუტერი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება და მისი საქმიანობა რეგულირდება თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია:რეგისტრაციის საინვენტარო წიგნი, მკითხველთა (მოსწავლეთა და პედაგოგთა) ფორმულარები და ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ბიბლიოთეკით სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი. წიგნები თაროებზე განლაგებულია თემატურად,ადგილზე შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული სასწავლო ლიტერატურა,სახელმძღვანელოების კომპლექტები; სკოლის ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული წიგნადი ფონდის საერთო რაოდენობა შეადგენს 2251 ერთეულს,რომელიც აღწერილია წიგნადი ფონდის ელ.ბაზაში (open biblio). დაწესებულება თანამშრომლობს ჟურნალ ,,მასწავლებელთან", გამოწერილია პერიოდიკა.აღსანიშნავია, რომ სკოლის კათედრებზე, პროფესიული განვითარების ლაბორატორიაში იქმნება სხვადასხვა სასწავლო-მეთოდური დამხმარე ლიტერატურა, რომელიც იბეჭდება და მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში დაცულია აუდიო-ვიდეო მასალა.გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. დადგენილია და გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის რეგულაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკარის ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით; • ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნით; • შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით; • მკითხველთა ფორმულარებით და ბარათებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების შიდა კიბეებზე შესაძლებელია განთავსდეს მოძრავი, ასაკეცი პანდუსი, რომელიც დასაწყობებული წარმოადგინა სკოლამ (ამ ეტაპზე არ ყავთ ეტლით მოსარგებლე პირი), ამასთან სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასაწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: სკოლის მფლობელობაშია 40 ერთეული კომპიუტერი, მათ შორის ლეპტოპები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა სასწავლო სივრცეებში:კლასებში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, კათედრების სამუშაო ოთახებში ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებში და სხვ. სკოლაში არის სხვადასხვა რესურსი: ჭკვიანი დაფები, პროექტორები, აუდიო მაგნიტოფონები, ტელევიზორები და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა სარგებლობს მაღალსიხშირიანი ინტერნეტით, ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება, წარმოდგენილია ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტები. სკოლა საკომუნიკაციო და საინფორმაციო არხად იყენებს დაწესებულების ვებგვერდს:www.italianschool.ge;სადაც განთავსებულია სკოლის საქმიანობის შესახებ განახლებული ინფორმაცია, რაც თავის მხრივ და უზრუნველყოფს დაინტერესებული პირისთვის ინფორმაციის მიწოდებას. სოც. ქსელის გვერდს : http://www.facebook.com/italiantsiskari საკომუნიკაციო მიზნით სკოლა იყენებს ელ. ფოსტას: info@italianschool.ge; სკოლაში დანერგილია ელ. ჟურნალი ,,EDUPAGE”, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში თანამშრომლებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება საკუთარ სერვერზე არსებული ელექტრონული ფოსტია, (---@italianaschool.ge).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია; • ინტერნეტ პროვაიდერთან დადებული ხელშეკრულება; • დომენის და ჰოსტის ფლობის დოკუმენტები; • ელ. ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება. • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის ყველა სართული უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით(ცეცხლმაქრებით,სახანძრო სტენდით, სახანძრო დეტექტორებით და სხვ), თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები შესაბამისი საინფორმაციო პოსტერები,თვალსაჩინოა გადაუდებელი შემთხვევების დროს აუცილებელი საკომუნიკაციო არხების ტელეფონები.დაწესებულება თანამშრომლობს (შპს .,,უსაფრთხოება და გარანტი'')ორგანიზაციასთან, რომელიც ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამართულ მდგომარეობას, სახანძრო პასუხისმგებელ პირებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მოხმარების შესახებ ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმი , რომელიც სკოლის შინაგანაწესის 21-ე მუხლით რეგულირდება, ასევე,გაფორმებულია ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველსაყოფად შესაბამის ლიცენზირებულ ორგანიზაციასთან. დაწესებულების დირექტორის განმარტებით მერიის არქიტექტურის სამსახურში შეტანილია განცხადება (პროექტი) და ელოდებიან პასუხს სკოლის შენობის სამშენებლო სამუშოების განხორციელების ნებართვის მისაღებად(დამატებითი კორპუსის მშენებლობა) არქიტექტურული პროექტი ასევე ითვალისწინებს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის რეკონსტრუქციას და მასშტაბურ ცვლილებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება შპს,, უსაფრთხოება და გარანტთან"; • ცეცხლმაქრების შესყიდვის და გადამუხტვის სასაქონლო ზედნადებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ხელშეკრულება , შპს ,,რეგისი“ შრომის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით; • ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია სკოლის მე-5 სართულზე და მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად. აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ოთახში არის სველი წერტილი ნიჟარით,ბუნებრივი განათების და განიავების შესაძლებლობა.სკოლის ექიმთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ადგილზე დათვალიერებისას გადამოწმდა მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა, მედიკამენტების გაცემა აღირიცხება ექიმის მიერ სპეციალურ ჟურნალში, გამოკრულია პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები. სკოლას დამტკიცებული აქვს ,,პანდემიის პირობებში ინფექციური დაავადებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“ , ამასთან სკოლის ექიმი ჩართულია სკოლის სანიტარულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჰიგიენური მდგომარეობის შეფასებაში როგორც კვების ობიექტში, ისე მთელს სკოლაში. ექიმის სამუშო აღწერილობა და ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექიმთან დადებული შრომითი ხელშეკრულება; • მედიკამენტების აღრიცხვის და პაციენტთა რეგისტრაციის ჟურნალით; • გასაუბრებით ექიმთან; • ვიზუალური დათვალიერებით; • მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით; • ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქციებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად,სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'' (ბრძ.N94; 10.09.2021) ამასთან, წესრიგის დაცვის მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება უშიშროებისა და საკუთრების დაცვის სამსახურთან,,ალგანი''. სკოლის შემოსასვლელში უსაფრთხოების მიზნით, დამონტაჟებულია დაშვების კონტროლის სისტემა (ტურნიკეტი), რომელსაც აკონტროლებს დაცვის თანამშრომელი. სკოლის სივრცეში მორიგეობენ მასწავლებლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები'' (ბრძ.N94; 10.09.2021); • განათლების და მეცნიერების სამონისტროს წერილი წერიგის დაცვის წესის შეთანხმების შესახებ (MES82000194210; 17.02.20); • ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან; • შრომითი ხელშეკრულება დაცვის თანამშრომელთან; • დაშვების სისტემის შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს№1143 ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეძენილი აქვს შიდა და გარე სამეთვალყურეო ვიდეო კამერები. შენობის ტერიტორიის გაკონტროლების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა(10 შიდა და 3 გარე ერთეული ვიდეოკამერა), რომელიც აკონტროლებს მთლიან შენობას და ასევე, შენობის გარე პერიმეტრს. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების''37-ე და 39-ე მუხლები არეგულირებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ადმინისტრირების საკითხს და ვიდეოჩანაწერის დათვალიერების უფლებამოსილ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვიზიტის პერიოდში სკოლას მიეცა რეკომენდაცია, კერძოდ მონიტორებზე გამოსახულების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზნით, განთავსდეს, დახურულ(არ იყოს უცხო პირთათვის ხელმისწავდომი)სივრცეში, რაც დაწესებულებამ გაითვალისწინა და ვიზიტისას მონიტორებს შეუცვალა ადგილმდებარეობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიდეოკამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები''; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საქმიანობა რეგულირდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით (რეგისტრირების თარიღია 22/08/1996;სახელმწიფო სარეგისტრაციო №2/4-79), სკოლის შინაგანაწესით(დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N94;10.09.2021), დადგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციებით და ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 სტანდარტის პროცედურების საფუძველზე. დაწესებულების შინაგანაწესის შესწავლისას გამოიკვეთა რიგი უზუსტობები, სკოლას ამასთან დაკავშირებით მიეცა რეკომენდაციები კერძოდ: შინაგანაწესში გაიწეროს კონკრეტულ გადაცდომაზე კონკრეტული სახდელები და ასევე, განისაზღვროს რა შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინური გადაცდომის სიმძიმედ ან/და ხარისხად, ასევე დისციპლინური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პასუხისმგებლობის სახით არ იყოს გამოყენებული ისეთი ზომები, რომელიც შეუზღუდავს მოსწავლეს განათლების მიღების შესაძლებლობას , მაგ: სასკოლო აქტივობებში ჩართვის შეზღუდვა, გასათვალისწინებელია ასევე დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, ობიექტური, გამჭვირვალე სისტემის შემუშავება. ვიზიტის მსვლელობისას სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაკორექტირდეს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის წესი და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამის მუხლებთან.სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში დარეგულირდეს მოსწავლის პერსონალურ მონაცემების, შენახვის, დამუშავების ,გამოყენების და სხვ. თანხმობის საკითხები და გაიწეროს მოსწავლის სტატუსის შეჩერებდე გასატარებელი წინარე პროცედურები. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დაკორექტირებული შინაგანაწესი და მშობელთან დასადები ხელშეკრულებების პროექტი,სადაც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს. წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; • თანამდებობრივი ინსტრუქციები; • ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 სტანდარტის პროცედურები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ თვითშეფასებაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა სკოლის ერთწლიანი და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ გრძელვადიანი გეგმის შესრულების პერიოდია 2016-2022, რაც ექსპერტთა ვიზიტისთვის ფაქტობრივად დასრულებულ პერიოდს მოიცავს, შესაბამისად დაწესებულებას ვთხოვეთ წარმოედგინა მომავლი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის არსებული სამუშაო მასალა და ინტერვიუს გზით შევეცადეთ დაგვედგინა სკოლის განვითარების სამომავლო მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ მომდევნო გრძელვადიან ციკლში პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მუდმივ განვითარება;პროგრამულ აკრედიტაცია;ხარისხის მართვის საერთაშორისო ISO სისტემის სერტიფიცირების ყოველწლიურ განახლება;სკოლის რებრენდინგი და სხვ. დაწესებულება მრავალი წელია(2006 წლიდან) ფლობს ხარისხის მართვის სისტემის ISO 9001:2015 სერტიფიკატს. სერტიფიკატი ენიჭება ორგანიზაციას, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის მართვის საერთაშორისო აღიარებულ სტანდარტს. ISO 9001:2015 სტანდარტი იყენებს პროცესებისადმი მიდგომას,რომელიც მოიცავს ციკლს დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე (PDCA) და რისკზე დაფუძნებულ აზროვნებას.ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში (PDCA) მეთოდთან ერთად,სტრატეგიული მიზნების დასახვისა და განახლებისთვის გამოიყენება SEET და SWOT მეთოდოლოგიაც,შეკრებილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მონაცემების ანალიზის საფუძველზე დგინდება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები.სტრატეგიული მიზნები ეყრდნობა სკოლის საკუთრებაში არსებულ ფინანსურ,მატერიალურ-ტექნიკურ და ადამიანურ რესურსს და მიმართულია მათი მუდმივი გაუმჯობესებისკენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • 2016-2022 წწ.ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • 2021-2022 წწ. ბილინგვური სექტორის სამოქმედო გეგმა; • 2022-2029 წწ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსია; • ISO 9001:2015 სტანდარტის სერტიფიკატი; • ინტერვიუს შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა სპეციალურ რეგისტრაციის ჟურნალში.შიდა აქტების (ბრძანებების) რეესტრი და შესაბამისად ზონარგაყრილი, ხელმოწერით და ბეჭდით დამოწმებული რეგისტრაციის წიგნით, მოსწავლეთა აღრიცხვის ანბანური წიგნი, მოსწავლეთა მოძრაობის რეესტრი, ხელშეკრულებების რეესტრი. დაწესებულების მიერ გამოცემული ბრძანებების შესწავლისას, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბრძანების საკონსტატაციო ნაწილში ასახული იყოს ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები, აღნიშნული დაწესებულებამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში გამოცემული ბრძანებები მოიყვანა შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვით ხელმძღვანელობს დაწესებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების ჟურნალი; • ხელშეკრულების რეგისტრაციის ჟურნალი; • საქმისწარმოების წესი; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	**დაწესებულებამ გაითვალისწინოს საკანონმდებლო ცვლილებები და აღნიშნული დროულად ასახოს საქმიანობის მომწესრიგებელ დოკუმენტებში.**
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი,კერძოდ: სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის სკოლაში დასაქმებულია 78 თანამშრომელი,სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ნუსხა თანამდებობრივი ერთეულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მითითებით,კერძოდ:დირექტორი 1;მთავარი კონსულტანტი 1;დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში 1; დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში 1; ხარისხის კონტროლისა და მართვის მენეჯერი 1; ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი 1; ფინანსური მენეჯერი 1;ტექნიკური დირექტორი 1;ტექნიკური მენეჯერი 1;ფსიქოლოგი 2;IT სპეციალისტი1;ექიმი 1; პიარმენეჯერი 1;ბიბლიოთეკარი 1;პედაგოგთა პროფესიული ლაბორატორიის ხელმძღვანელი 1;კათედრის თავმჯდომარე 8; წრეობრივი მეცადინეობის კოორდინატორი 1;დამლაგებელი 4; დაცვა 1.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ''სკოლის დირექტორის ბრძ.N 95(11.09.21); • თანამშრომელთა პირადი საქმეებით; • შრომითი ხელშეკრულებებით; • თანამდებობრივი ინსტრუქციებით; • სკოლის ორგანოგრამით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	44 (მათ შორის 5 იტალიურის მასწავლებელი)
მოწვეული/მაძიებელი	7
პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	26
წამყვანი მასწავლებლი	5
მენტორის სტატუსი	1

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა უმრავლესობა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე (ბილინგვური სწავლება) მოწვეულია 2 უცხოელი იტალიური ენის მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებით; • მართვის საინფორმაციო სისტემის eSchool ბაზის მონაცემებით;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლები,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“.სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. პირველ ეტაპზე, კანდიდატი წარადგენს რეზიუმეს, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში. დაწესებულებაში შემუშავებულია და გაწერილია ახალი თანამშრომლის მიღების შემდგომი პროცედურები, რომლის თანახმად, ახლად დასაქმებულს საორიენტაციო ტრენინგს უტარებენ ხარისხის მართვის და ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რესურსების მართვის მენეჯერები, სადაც დეტალურად ხდება სკოლის შინაგანაწესის, პედაგოგის პროფესიული ეთიკის კოდექსის, ხარისხის მართვის სისტემის შესახებ ინფორმაციის, ასევე,წახალისებისა და სანქციების ფორმების გაცნობა. მასწავლებელი მიემაგრება შესაბამის საგნობრივ კათედრას, რომლის ხელმძღვანელიც ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს მისი ჩართულობა კათედრის მუშაობაში. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მკაფიოდ, თუმცა ვიზიტის პერიოდში შინაგანაწესის შესწავლისას დადგინდა უზუსტობა, კერძოდ: გათავისუფლების საფუძვლები არ იყო თანხვედრაში საქართველოს ორგანულ კანონთან,,შრომის კოდექსთან“,აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში გაასწორა უზუსტობა. დასაქმებულის წახალისების შესახებ (შიანაგაწესი მუხლი 19) გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი .დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების კუთხით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები გაწერილია შინაგანაწესში, სადაც განსაზღვრულია გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეები (შინაგანაწესი, მუხლი 20). დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • მასწავლებელთა შერჩევის და მიღების პროცედურა N 5 (01.10.21);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა თანამშრომელთან სკოლას გაფორმებული აქვს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრება:ხელშეკრულების საგანი, შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა და სხვა პირობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში შემუშავებულია ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ერთიანი მექანიზმი, კერძოდ: სკოლაში შექმნილია პროფესიული განვითარების ლაბორატორია,რომლის მიზანია: 1. სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით,მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაღალი სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიური სერვისების განხორციელება; 2. მასწავლებელთა პროფესიული მომზადების და კარიერული წინსვლის განვითარების ხელშეწყობა; 3.იმ პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან: სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების და პროგრამების შექმნა- დაუფლება- დანერგვაში.გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,შემუშავებულია ჯგუფის დებულება და სამოქმედო გეგმა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, მრავალფეროვანი საქმიანობა ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე,აღსანიშნავია, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, მეთოდური გზამკვლევები და ლიტერატურა, ხაზგასასმელია ისისც, რომ რამდენიმე მასწავლებლის მიერ შექმნილი მეთოდური დამხმარე რესურსი დაბეჭდილია ჟურნალ,,მასწავლებელში“ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემულ სარეკომენდაციო სასწავლო დამხმარე ლიტერატურაში. დეტალურად არის გაანალიზებული თითოეული მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმიანობა, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება. კათედრების თავმჯდომარეების სემესტრული ანალიზი არის ფუნდამენტური და მასში აღწერილია როგორც მიღწევები, ასევე კათედრის წევრების წინაშე არსებული გამოწვევები. სკოლაში ტარდება პედაგოგთა შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები.სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, როგორც პედაგოგიური , ისე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მხრივ. ექსპერტების მიერ გადამოწმდა შესაბამისი აქტივობები. მაგალითად: მიმდინარე წელს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა და და მოადგილემ გაიარა პროფესიული განვითარების კურსი და მოიპოვა სერტიფიკატები, ასევე ტექნიკურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები/ინსტრუქტაჟით შრომისა და კოვიდ უსაფრთხოებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული ლაბორატორიის დებულება, სამოქმედო გეგმა; • პროფესიული ლაბორატორიის ხელმძღვანელის ანგარიში; • კათედრების პორტფოლიო; • ხარისხის ჯგუფის დებულება; • მეთოდური გზამკვლევები (ნაბეჭდი, ციფრული); • ტრენინგის გავლის შესაბამისი სერტიფიკატები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შექმნილია დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობების გადანაწილებას. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება აქვს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. სკოლაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება გუნდურობის პრინციპით. დირექტორი და სკოლის მენეჯმენტი, კათედრებთან ერთად, ხელს უწყობენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც ეხება მოსწავლეთა სწავლასა და კეთილდღეობას – წარმატებული საგანმანათლებლო პრაქტიკის შესახებ ლიტერატურის გაზიარებით, პროფესიული განვითარებისათვის რეგულარული შესაძლებლობების უზრუნველყოფით, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობითა და მასწავლებლების შეხვედრებისთვის დროის გამოყოფით და ა.შ. სასკოლო გარემო ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა, ყველა მასწავლებელმა, მოსწავლემ და სასკოლო საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლენას. თანამრომლობითი ურთიერთობა, ქმნის ჯანსაღ და კეთილგანწყობილ გარემოს, არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი პედაგოგებისთვისაც. საფეხურის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება მშობელთა და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, ზაფხულისა და ზამთრის მიზნობრივი ბანაკები, სასკოლო და საერთაშორისო პროექტები, სპორტული აქტივობები, საქველმოქმედო აქციები, ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენასა და სკოლაში სასურველი გარემოს შექმნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასკოლო აქტივობების კალენდრი; • სასკოლო გამოცემები; კათედრის პროტფოლიო; • ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია; ინტერვიუ პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

.
ქ. თბილისი
თარიღი: 01 ივნისი,2022წ.
გვერდების რაოდენობა -52 (ორმოცდათორმეტი).

Eliso Lolashvili-merebashvili 01002006929
Digitally signed by Eliso Lolashvili-merebashvili
Date: 2022.05.31 21:36:25

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.